ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო 0198, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, ტელ : 116 001 (180); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ–გვერდი: www.ncdc.ge
99 Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia; Phone: 116 001 (180) E-mail:ncdc@ncdc.ge; web: www.ncdc.ge

სკრინინგის გადაწყვეტილება
"ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის" შესახებ

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტში (შემდგომში -ცენტრი) განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2021 წლის 16 მარტის № 01/3778 წერილით გადმოგზავნილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 2 მარტის № 05/1133 (20569) სკრინინგის განცხადება „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის" პროექტი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ, საქარტველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" და ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო არეალად მიჩნეულია ქალაქ სიღნაღის ტერიტორია, რომელიც მოიცავს 296,5 ჰექტარ ტერიტორიას და იგეგმება შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- საბაგიროების მოწყობა;
- საპარკინგე ადგილების მოწყობა;
- ქუჩათა ქსელის, მოედნების, სკვერების, საჯარო სივრცეების რეაბილიტაცია;
- საგზაო კვანძების რეკონსტრუქცია;
- საფეხმავლო მარშრუტების მოწყობა;
- გადასახედის მოწყობა;
- გადასასვლელი ხიდების მოწყობა.

წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში მოწოდებულია ინფორმაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის ზემოქმედების ფაქტორებზე ისეთ როგორიცაა: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება, ნიადაგისა და გრუნტის

დაბინძურების რისკები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება, ადამიანის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება.

სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აღნიშნული ხედვები, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად და თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გარემოზე მკვეთრ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. თუმცა, მნიშვნელოვანია რიგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან იქნას არიდებული როგორც ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, ისე გარემოსდაცვითი საკითხები.

დოკუმენტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყლები ძირითადად ირიგაციისათვის გამოიყენება. მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება მიწისქვეშა წყლებით. არსებული წყლის რესურსი საკმარისია მოსახლეობის წყალზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის წლიურად 700000 m^3 წყალია საჭირო. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85%-მდე გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება. უცნობია როგორია ხელმისავწდომობა ადექვატურ სანიტარულ პირობებზე ქ. სიღნაღის ფარგლებში, მაშინ როდესაც დაგეგმილია, ქუჩათა ქსელის, მოედნების, სკვერების, საჯარო სივრცეების რეაბილიტაცია, გამოიწვევს თუ არა პარალელურად წყალმომარაგების ქსელისა და კანალიზაციის პრობლემების იდენტიფიცირებას და გათვალისწინებას.

საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თავი II (სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა), მუხლი 5 (სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების სისტემა, მათი იერარქია და თავსებადობა პუნქტი 2) შესაბამისად, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იერარქიულად ქვემდგომი გეგმების იერარქიულად ზემდგომ გეგმებთან თავსებადობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დარგობრივი გეგმა - მაგ. სატრანსპორტო სისტემის განვითარების და სხვა, წარმოადგენს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ დოკუმენტს, რომლის შინაარსთან, შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით და რომელიც რელევანტურია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისათვის. წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ინფორმაცია შეესაბამება თუ არა ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის პროექტი ქალაქ სიღნაღის ქალაქთმშენებლობით გენერალურ გეგმასთან, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა, სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და მშენებლობის პროცესში

ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური პირობების დახასიათების შესაბამისად, (3.2.1გეომორფოლოგია) აღნიშნულ ქვეზონაში განვითარებული გეოდინამიკური პროცესებიდან აღსანიშნავია დენუდაციური, მეწყრული და ღვარცოფული პროცესები, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს ტერიტორიის ლითოლოგიური აგებულება, რომელიც მოითხოვს რელევანტური ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტი დაექვემდებაროს **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურას.**

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე